2016 წლის 01 იანვრიდან სულ სტატუსი მინიჭებული აქვს 7298 მოქალაქეს, აქედან 2023 წელში 228 მოქალაქეს. სტატუსის მინიჭებული მოქალაქეები სარგებლობენ მთელი რიგი სოციალური შეღავათებით. სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან დასახლებაში სოციალური შეღავათების დაწესებას: მათ შორის რამოდენიმეს დავასახელებ: საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის, რომელიც ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის გათვალისწინებით, ყოველთვიური დანამატის – სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის – მიცემას. მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით ყოველთვიური დანამატის მიცემას: ექიმისათვის – სახელმწ იფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით.

აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა.

ასევე პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას და ასე შემდეგ არის მთელი რიგი სოციალური და საგადასახადო შეღავათები, რომელსაც შესაბამისი კანონმდებლობა.

● ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

საანგარიშო პერიოდში კულტურის სფეროს დაწესებულებები მუშაობას წარმართავდნენ წინასწარ შემუშავებული გეგმების და პროგრამების მიხედვით. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თარიღები აღინიშნებოდა საინტერესო ღონისძიებებით.

სამსახური აქტიურად ურთიერთობს ჭიათურაში არსებულ კულტურის სფეროს დაწესებულებებთან და სახელოვნებო სკოლებთან;

ეწყობა ჭიათურა-საჩხერის მწერალთა გაერთიანების ყოველკვირეული შეხვედრები და იმართება სალონური საღამოები.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ჩართულია საქალაქო ღონისძიებების მოწყობაში (ბავშვთა საერაშორისო დღე, „ჭიათურობა“, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე (26 მაისი), საახალწლო ღონისძიებები)...

მიმდინარე წლის 21 მარტს დაუნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა ბავშვებთან და გადაეცათ საჩუქრები.

მოეწყო შეხვედრა მწერლთან და მკვლევართან, გამომცემლობა „საუნჯეს“ რედაქტორთან ბატონ გივი ჩიღვინაძესთან.

შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი, „დამაყარეთ გულზე მინდვრის ყვავილები“, აფხაზეთში ვერაგულად მოკლული ჩვენი თანაქალაქელი პოეტის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის შესახებ, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ჭიათურაში პოეტის სახელობის სკვერში „უვიწყარა“ გადაღებულ ფრაგმენტებს.

აღნიშნული ფილმის ჩვენება დაგეგმილია გაზაფხულზე, ჭიათურაში.

2023 წელს პერევისის საგანმანათლებლო ბანაკში ისვენებდა 12 ბენეფიციარი, ასევე მოეწყო ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი სადაც 11 სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა ისვენებდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია წარჩინებული ჭიათურელი სტუდენტების დაჯილდოვება, 2023 წელს ასევე დაჯილდოვდნენ მოსწავლეები,რომლებმაც საჯარო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედალზე დაამთავრეს.

- ✓ სულ: დაჯილდოვდა 11 წარჩინებული სტუდენტი, გაიცა 11 000 ლარი.
- ✓ დაჯილდოვდნენ წარმატებული ახალგაზრდები - 2 500 ლარი
- ✓ დაჯილდოვდა 61 მოსწავლე, აქედან 16-ს ვერცხლის და 45- ს ოქროს მედალი გადაეცათ.

რამდენიმე წელია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სპორტის სამინისტროს აიპიების, სასკოლო სპორტის ფედერაციასა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიას შორის. ,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა,, გრძელდება სასწავლო წლის განმავლობაში, მასში ჩართულია საშუალოდ 25 სკოლა და 500 მდე მოსწავლე, ტურნირები იმართება როგორც მუნიციპალურ და რეგიონულ, ასევე ქვეყნის მასშტაბით სპორტის 9 სახეობაში: მინი ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზრბენი, მხიარული სტარტები, ბადმინტონი, ფრენბურთი, ხელბურთი და სპორტულ-შემეცნებითი ტური. პროექტის განხორციელებას, რესურს ცენტრთან და სკოლებთან თანამშრომლობას, ტურნირების ორგანიზებას, მონაწილეთა ეკიპირებას და ტრანსპორტირებას, სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების ხარჯიდან დაჯილდოვდა 90- მდე სპორტსმენი და მათი მწვრთნელები, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს როგორც საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ ჩემპიონატებში, ასევე ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში. სპორტსმენებზე ჯილდოს სახით გაცემულია 44, 400 (ორმოცდაოთხი ათას ოთხასი) ლარი.

- ლაშა გაგნიძე - საქართველოს ჩემპიონატი კრივში I ადგილი- 600 ლ. (მწრვთვნელი ვასილ ჭეიშვილი - 300 ლ.) ევროპის ჩემპიონატი კრივში II ადგილი -1500 ლ. (მწვრთვნელი ვასილ ჭეიშვილი - 700 ლ.)
- მარიამ ცეცხლაძე - მსოფლიო ჩემპიონატი წოლჭიმში I ადგილი - 5 000 ლ.
- მირანდა კაპანაძე - ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში II ადგილი - 1500

ლ. (მწვრთვნელი ოთარ ჯაოშვილი - 700 ლ.)

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია ანხორციელებს სხვადასხვა სახის 20 სოცილურ პროგრამას. კერძოდ:

- სამკურნალო საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსება,
- ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა ფინანსური დახმარება,
- შშმ პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- შშმ პირთა კომუნალური ხარჯით ფინანსური დახმარება,
- სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადების მქონე პირთა ფინანსური დახმარება,
- ხანდაზმულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,

- ♦ ახალშობილთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ მრავალშვილიანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ ეკონომიკურად შეჭირვებულ ოჯახთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარებულთა ოჯახების ფინანსური დახმარება,
- ♦ დევნილთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების ფინანსურინ დახმარება,
- ♦ ომის ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ სამამულო ომში მონაწილეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ მარჩენალდაკარგულთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ რადიაქტიული ნივთიერების შედეგად დაზარალებულ პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება,
- ♦ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა ფინანსური დახმარება,
- ♦ უმწეო და მიუსაფარ ადამიანთა უფასო სასადილოთა მომსახურება,
- ♦ გარდაცვლილ ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების ფინანსური დახმარება,
- ♦ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა.
- ♦ სოციალური მიმართულებით ბიუჯეტიდან 2023 წელს გამოყოფილი იქნა 2 539 000 ლარი.
- ♦ საცხოვრებლის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დამატებისთ გამოიყო 1 847 000 ლარი.

➤ **მოცემული პროგრამებით ისარგებლა 5021 ბენეფიციარმა**

● ბავშვის უფლებების დაცვა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება.რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე უშუალოდ, ბავშვის უფლებების კოდექსის აღმასრულებელია.
განყოფილებიოს მიერ შექმნილია ბავშვის ინტერესებზე მორგებული პროგრამა, რომელიც უფრო ეფექტურს ხდის მის საქმიანობას.

დღეის მდგომარეობით შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის უფლებების დაცვის განყოფილება გამართულად ფუნქციონირებს და საჭიროების შემთხვევაში ოჯახების დასახმარებლად იყენებს მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სოციალურ პროგრამას. პარალელულად, ბენეფიციარებს სხვადასხვა მიმართულებით უწევს კონსულტაციას.

შექმნილია მონაცემთა ბაზა იმ ოჯახებისათვის, სადაც ბავშვების მხარდაჭერის აუცილებლობაა გამოკვეთილი. ამ ეტაპისთვის მუშაობა მიმდინარეობს ყველაზე მოწყვლად - 30 ოჯახთან.
აქტირად გრძელდება მუშაობა და თანამშრომლობა გაეროს ბავშვთა ფონდის,უშუალოდ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის სოფო კილაძესთან და რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციასთან,მათი დახმარებით არა ერთ ოჯახს გაეწია,როგორც ფინანსური ასევე მატერიალური დახმარება.

გაერთიანებული საბავშვო ბაღები

ააიპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღში 32 ბაღი ფუნქციონირებს.

აქედან N9 განყოფილება შენობის ავარიული მდგომარეობის გამო დროებით დახურულია.

სულ გაერთიანებაში შემავალ განყოფილებებში ირიცხება 1300 ბავშვი.

2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ხარჯები განისაზღვრა -6635.0 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ხარჯებმა შეადგინა -6150,7 ათასი ლარი. ერთი ბავშვის კვების დღიური ნორმა საშუალოდ წლის განმავლობაში შეადგენს- 2,80 ლარს. 2023 წლის დასაწყისისათვის ირიცხებოდა 795 საშტატო ერთეული, ხოლო 1 დეკემბრის მდგომარეობით საშტატო ერთეულების რაოდენობა განისაზღვრა 795,5 ერთეულით.

2023 წლის განმავლობაში სულ ჩატარებული იქნა 9 ელექტრონული ტენდერი საბავშვო ბაღების კვების უზრუნველყოფისათვის თანხით -657,1 ათ ლარი. გამარტივებული შესყიდვით ხელშეკრულებები გაფორმებულია

სხვადასხვა მომსახურეობასა და შესყიდვაზე 33 სუბიექტთან თანხით 168,9 ათ ლარი. კონსოლოდირებული შესყიდვის ფარგლებში გაფორმებულია 5 ხელშეკრულება თანხით- 6,2 ათასი ლარი. ხელშეკრულება გადაუდებელი აუცილებლობით არ გაფორმებულა.

2023 წლიდან როგორც ქალაქის ასევე ყველა სოფლის საბავშვო ბაღები უზრუნველყოფილია ცხელი წყლის მიწოდებით. ქალაქის 8 და სოფლის ერთი საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით ხოლო დანარჩენი საბავშვო ბაღები მომარაგებულია ზამთრისათვის საჭირო საწვავი ხის მასალით. საბავშვო ბაღებში მკვეთრად შემცირდა ბავშვების ფაქტიური დასწრება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფაქტიურ ხარჯებზე, სუბსიდია შემცირებული იქნა 484,3 ათ ლარით. წლის ბოლოსათვის ზოგიერთ ხარჯებში წარმოშობილი ეკონომია მიმართული იქნება აუცილებელი ხარჯების დასაფარავად.
კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, თანახმად სკოლამდელ დაწესებულებას არა მხოლოდ აღმზრდელობითი, არამედ საგანმანათლებლო ფუნქცია ეკისრება. სკოლამდელი განათლება - განათლების პირველი საფეხურია. ადრეულ ასაკში ბავშვისადმი სათანადო დამოკიდებულება და სწავლების ხელშეწყობა, მომავალში მისი პიროვნებად ჩამოყალიბების და ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური მდგომარეობის ფორმირების აუცილებელ პიროვნებას წარმოადგენს.

ჭიათურის „გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ ადმინისტრაცია და მეთოდური ჯგუფი კვლავ აქტიურად იყო ჩართული არასამთავრობო ორგანიზაცია ,,კივიტას გეორგიკას“ პროექტებში. მიმდინარე სასწავლო წელს დასრულდა აღნიშნული ორგანიზაციისა და პოლონური ორგანიზაცია ,,ედუკატორის“ ერთობლივი სამწლიანი პროექტი სახელწოდებით ,,თვითეული ბავშვისათვის -სკოლამდელი განათლების ადგილობრივი პოლიტიკის სისტემური მხარდაჭერა.

დეკემბრის თვეში ჩატარდა პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია ,რომელიც გახსნა პოლონეთის ელჩმა , შეხვედრას ესწრებოდნენ ორივე მხარის ქართული და პოლონური სკოლამდელი განათლების სპეციალისტები, ასევე საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ივლისის თვეში სამიზნე ბაღების აღმზრდელებისა და მეთოდისტებისათვის ჩატარდა ტრეინინგი ბავშვის ფსიქო-მოტორული უნარების განვითარებაზე. პოლონური მხარის მხარდაჭერით ორგანიზაცია ,,კივიტას გეორგიკასმ“ ამ ბაღების აღსაზრდელებისათვის შეარჩია და შეიძინა საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკური და მოტორული უნარების განვითარებას.

2022 სასწავლო წელს დაიწყო უდუდესი პროექტი სკოლამდელი განათლების სფეროში. ესაა ავტორიზაციის პროექტი. ეს წელი იყო ბაღების დარეგისტრირების წელი. გაერთიანებაში შემავალი 32-ვე საბავშვო ბაღი დარეგისტრირდა ერთიან ელექტრონულ ბაზაში, ხოლო 2023 წელი გამოცხადებულია ავტორიზაციის დიაგნოსტიკური თვითშეფასების წლად. აღსანიშნავია, რომ ბაღების ადმინისტრაციამ სრული პასუხისმგებლობითა და მითითებული ვადების გათვალისწინებით მოახდინეს თვითშეფასების კითხვარების შევსება და გაგზავნა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე.

2023 წლის 1 მარტს გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ.
ჩვენი გაერთიანება აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ კონფერენციაზე.

2023 წელი გამოირჩევა აგრეთვე იმით, რომ აქტიურად დაიწყო ახალი კურიკურიუმის ,,თამაშის“ დანერგვის პროცესი. გამოიცა ამ კურიკურიუმის დანერგვის სტრაგედიის დოკუმენტი. დოკუმენტში მითითებული რეკომენდაციების საფუძველზე გადავწყვიტეთ აღნიშნული კურიკურიუმის პირველ ეტაპზე მხოლოდ 12 საბავშვო ბაღში დავნერგოთ.ამ მიზნით ჩატარდა სამი სხვადასხვა ტიპის ონლაინ ტრენინგი.
8 საათიანი ტრენინგი ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის.
36 საათიანი ტრენინგი კურიკურიუმის დანერგვა პრაქტიკოსებისათვის(20 აღმზრდელი)
40 საათიანი ტრენინგი ,,ინკლუზიურ განათლებაზე „ (25 აღმზრდელი).
პარალელურად წლის განმავლობაში პერიოდულად მიმდინარეობდა პირისპირ თუ ონლაინ შეხვედრები სკოლამდელი განათლების ექსპერტებთან ქ.დოლიძესა და ქ.ცინცაძესთან.

2023 წლის სექტემბერში გაერთიანება ჩაერთო ჩეხური ორგანიზაცია ,,კარიტასის“ მიერ დაწყებულ ახალ პროექტში, რომელიც ითვალისწინებს ადგილზე ადრეული განვითარების სერვის ცენტრების გახსნას. ცენტრი მოემსახურება მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ინკლუზიურ და შშმ ბავშვებს. ამ თემასთან დაკავშირებით სოციოლოგი თამარ ლაფერაძე ადგილზე შეხვდა ბაღის აღმზრდელებს და შშმ ბავშვების მშობლებს, მოისმინა და გაეცნო მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

2023 წლის 12 ოქტომბერს გაიმართა საკოფერენციო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი განათლების სამმართველოს წარმომადგენლებთან, შეხვედრას ესწრებოდნენ ჩვენი საბავშვო ბაღების საკონსულტაციო საბჭოს წევრი მშობლები. საუბრის მიზანი პოზიტიური მშობლობის როლისა და მნიშვნელობის გაცნობა იყო.მოხდა ახალი სახელმძღვენელოების პრეზენტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს პოზიტიური მშობლის აქტიურ ჩართულობას საბავშვო ბაღის ცხოვრებაში. აღნიშნული სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები მიწოდებულია ყველა საბავშვო ბაღის სპეციალისტებისათვის.

მიმდინარე წლის განმავლობაში გაერთიანების დირექტორი და მეთოდური ჯგუფი აქტიურადაა ჩართული ახალი კურიკურიუმის დანერგვის პროცესში. ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღმზრდელის გრძელ და მოკლევადიანი გეგმების წერას და ბავშვზე დაკვირვება შეფასების დოკუმენტების წარმოებას.სამომავლოდ კი ვგეგმავთ დანარჩენი 20 ბაღიც ჩავრთოთ ამ პროცესში.

კულტურის ცენტრი

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე ჭიათურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი წარმართავს თავის საქმიანობას, შედგენილი სასწავლო გეგმისა და პროექტების მიხედვით. კულტურის ცენტრში მთელი წლის განმავლობაში განხორციელდა უამრავი პროექტი, რომელიც მოიცავს სასწავლო-საგანმანათლებლო სამსახურის, ღონისძიებათა უზრუნველყოფისა და თეატრალური ხელოვნების

სამსახურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმთა გაერთიანების სამსახურის , ტურიზმის სამსახურის და აგრეთვე ტექნიკური მხრივ გაწეულ უამრავ სამუშაოს.
სასწავლო- საგანმანათლებლო სამსახურში შემავალი სასწავლო ჯგუფები ,სკოლები და სტუდიები იმყოფებოდნენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებზე, მონაწილეობის მისაღებად,როგორც ქვეყნის ფარგლებს შიგნით, აგრეთვე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლამ წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ოც კონკურსსა თუ ფესტივალზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ი.სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახელობის ქორეოგრაფიულმა სკოლამ მონაწილეობა მიიღო ოცდაათ ფესტივალზე. მათ შორის ორი ფესტივალ-კონკურსი გაიმართა საქართველოს ფარგლებს გარეთ, თურქეთსა და ბულგარეთში.
ჭადრაკის სამოყვარულო წრისა და გივი მოდებაძის სახელობის თეატრალურმა სტუდიამ ხუთამდე ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.
აღნიშნული მონაწილეობა ყველა ჯგუფისათვის და სკოლებისათვის წარმატებით იასპარეზეს აღნიშნულ ფესტივალებსა თუ კონკურსებსზე და დამსახურეულად მოიპოვეს სხვადასხვა ჯილდო.მიიღეს საჭირო ცოდნა და გამოცდილება.

კულტურის ცენტრის წარმატებული მუშაობისათვის აქტიურადაა ჩართული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმთა გაერთიანების სამსახური. პირველი და მეორე კვარტალი მოიცავდა უამრავ გასვლით ღონისძიებებს ,, და ძმა ანჯაფარიძეების სახლმუზეუმის“ და ,, გიორგი წერეთლის სახლმუზეუმის,, ჩართულობით. ასევე ჩართული იყო ნუცუბიძის სახელობის თეატრალური მუზეუმი. მესამე კვარტლის დასაწყისში მუზეუმი განთავსდა ახალ სივრცეში , სადაც მან მიიღო უამრავი ქართველი თუ უცხოელი ვიზიტორი. ასევე ყოველდღიურად ხდება საჯარო სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა ვიზიტი მუზეუმის სივრცეში. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ტურიზმის სამსახურში. განხორციელდა უამრავი სასკოლო პროექტი ,სხვადასხვა გასვლითი ღონისძიებები და შეხვედრები ადგილობრივ

მეწარმეებთან , რომლებიც აწარმოებენ ჩაის, თაფლს, ღვინოს...

მთელი წლის განმავლობაში კულტურის ცენტრში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები. რეაბილიტირებული და სრულად განახლებული გახლავთ თოჯინების თეატრი, რომელიც სრული დატვირთვით ემსახურება მაყურებელს.

რეაბილიტირებული და აღდგენილი იქნა დიდი საკონცერტო დარბაზის სრული სივრცე ,მიმდებარე პერიმეტრთან ერთად. ასევე განახლდა საკონცერტო დარბაზის ჭაღი, მოწესრიგდა გახმოვანებისა და განათებისათვის საჭირო ელექტრო გაყვანილობა. განახლდა საკონფერენციო სივრცე და ადმინისტრაციული სამუშაო სივრცეები.

გარემონტრდა ზ. ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და პარალელურად შეძენილი იქნა ოთხი მუსიკალური ინსტრუმენტი (პიანინო).

მოწესრიგდა ქორეოგრაფიული სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი გასახდელი ოთახები.

კულტურის ცენტრის პირველ სართულზე რეაბილიტირებული იქნება ყველა ფანჯარა და გამოიცვალა მინები. დამხმარე კარები, როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა მთლიანად იქნა შეცვლილი.ამავდროულად ჩატარდა უამრავი ტექნიკური სამუშაო, რომელიც ნათლად აისახა კულტურის ცენტრის გალამაზებაში . ყოველივე ზემოთ აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე გაიზარდა მოსწავლეთა მომართვიანობაც და ამ ეტაპისათვის კულტურის ცენტრში ირიცხება 1300 მოსწავლემდე.

კულტურის ცენტრი მუშაობს გამართულად, სრული დატვირთვით და ჩართული გახლავთ ღონისძიებათა უზრუნველყოფისა და თეატრალური ხელოვნების სამსახურთან ერთად ყველა საქალაქო თუ შიდა ღონისძიებებში.

● აიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა

აიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა აერთიანებს 7 საქალაქო და 20 სოფლის ბიბლიოთეკას.

2023 წელს ცენტრალური ბიბლიოთეკა და ყველა განყოფილება სულ 3922 მკითხველს მოემსახურა. და მათზე გაიცა 28143 ცალი წიგნი.

ბიბლიოთეკაში 2023 წელს გაწეული სამუშაოები:

- მკითხველთა მომსახურეობა.
- წიგნის გაცემა. (ჟურნალ-გაზეთებით მომსახურეობა)
- გამოფენების მოწყობა. (როგორც დროებითი ასევე მუდმივი)
- წიგნობრივი ფონდის დამუშავება (ფონდის რეკლასიფიკაცია და ახალი წიგნების კლასიფიკაცია)
- ბიბლიოგრაფიული მუშაობა (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, წერილობითი ცნობები)
- საცნობარო აპარატის ორგანიზაცია (წიგნების აღწერა,ფონდის ელექტრონულ კატალოგზე გადაყვანა)
- მუშაობა წიგნად ფონდზე.

2023 წელს ცენტრალური ბიბლიოთეკის განყოფილებებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები მნიშვნელოვან თარიღებთან და აქტუალურ თემებთან დაკავშირებით, მთელი წლის განმავლობაში ყველა ბიბილიოთეკაში ჩატარდა ღონისძიებები (კონკურსები, შეხვედრები, პოეზიის საღამოები)
2002 წლიდან საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დადგენილებით საქართველოს მასშტაბით ტრადიციულად ტარდება საბიბლიოთეკო კვირეული, მასში მონაწილეობას იღებს საქართველოს ყველა ბიბლიოთეკა, აპრილის ბოლოს კვირეულის დასკვნითი ღონისძიება -,,ეს ჩემი საქართველოა“ ჩატარდა ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში.

16 ნოემბერს ჭიათურის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში მრავალმხრივ ნიჭიერი პოეტის, მწერლის, მეცნიერისა და ეთნოგრაფის ბატონ გივი ჩიღვინაძის წიგნების პრეზენტაცია ჩატარდა.

სანდრო კავსაძის სახელობის N 1 სამუსიკო სკოლა

სანდრო კავსაძისის სახელობის თითქმის საუკუნოვანმა სკოლამ არაერთი წარმატებული თაობა აღზარდა და გზა გაუკვალა დიდი ხელოვნებისაკენ.

წელს სკოლის სახელოვანმა კურსდამთავრებულმა პიანისტმა სანდრო გეგეჭკორმა წარმატებით ჩააბარა ამერიკის პრესტიჟულ სასწავლებელში ,,ჯულიარდი''-ში და სრული დაფინანსებით გააგრძელებს სწავლას მაგისტრატურაში.

სევე სკოლის ვოკალური განყოფილების ყოფილმა მოსწავლემ, ირაკლი ფხალაძემ, რომელმაც გაიარა სამ თვიანი სტაჟირება იტალიაში,ლუჩიანო პავაროტის სახელობის თაეტრში და სექტემბრიდან მიწვეულია ესპანეთში ორ წლიან სტაჟირებით ვალენსიის ოპერის თეატრში ..*Palau de Les arts”*

წარმატებული მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ მშობლიურ ქალაქს და თავიანთი საშემსრულებლო ხელოვნებით ანებივრებენ თანაქალაქელებს და გულშემატკივტებს

ამის დასტურია გასული წლის 5 დეკემბერს ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარებული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩვენი

სკოლის ვოკალური განყოფილების ყოფილი მოსწავლეები და მათი ხელმძღვანელი რამაზ კუბლაშვილი .

- სკოლის ვოკალური განყოფილების ორმა მოსწავლემ (ნათია კაპანაძე და გიორგი კერესელიძე) ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

- წლევანდელ სასწავლო წელს სკოლას ჰყავს ფესტივალის ლაურეატები ,რომლებიც სკოლის კონტინგენტის 50%-ს შეადგენენ, მათ შორის 15 გრან-პრის მფლობელი ,ხოლო დანარჩენმა კი I და II ადგილები მოიპოვეს.

- ეროვნულ კონკურსებზე მიღწეული შედეგები კი ასეთია:.

- საგუნდო კოლექტივის მიღწევებით VI და VII ეროვნულ კონკურსებზე,სადაც სკოლის მგალობელმა და ხალხური სიმღერების კოლექტივმა I ადგილი და ოქროს მედლები მოიპოვეს,

ხოლო აკადემიური გუნდის სოლისტმა დავით სამხარაძემ კი ,,საუკეთესო სოლისტის ნომინაცია მოიპოვა“ .

სკოლის მოსწავლეებმა სამ ეროვნულ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა:

,,ნორჩი ვირტუოზი“- (13 მარტი)

✦ I ადგილი ე.მამისეიშვილ (პედ. ლ. ნადირაძე)

✦ II ადგილი მ.მოდებაძე (პედ. ვ. შერმაზანაშვილი)

2. ქართული კლასიკური მუსიკის ეროვნული კონკურსი -(5 აპრილი)

✦ სამი I ადგილი, (ე.მამისეიშვილი. თ .ღავთაძე, ბ. ფხალაძე) პედ. ლ. ნადირაძე.

✦ ერთი- II ადგილი (გ.კერესელიძე)
✦ ერთი-დიპლომანტი. პედ. რ.კუბლაშვილი

✦ მგალობელთა გუნდი- I ადგილი გუნდის ხელმძვანელი . მ.კაპანაძე.

3.კარლ ჩერნის სახელობის ეროვნული კონკურსი - (5 ივნისი)

✦ *ოთხი - I ადგილი,* ე.მამისეიშვილი -I ადგილი

ფულადი ჯილდო-200 ლარი- პედ ლ. ნადირაძე.

✦ მ. გონგლაძე - I ადგილი პედ.ლ. გაფრინდაშვილი.

✦ მ . მიქაცაძე - I ადგილი, პედ . დ. კირვალიძე.

✦ თ.ღავთაძე - I ადგილი, პედ ლ. ნადირაძე.

საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები :

თ.ამირეჯიბის სახ. საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები : 2022 წლის (22 ოქტომბერი)

✦ ეკატერინე მამისეიშვილი I პრემიის და ფულადი ჯილდოს მფლობელი , (პედ ლუდა ნადირაძე)

✦ თინანო ღავთაძე III პრემიის და ფულადი ჯილდოს მფობელი.(პედ ლუდა ნადირაძე)

✦ სკოლის მოსწავლე ეკატერინე მამისეიშვილი ივლისის თვეში მოსმენის შედეგად მიწვეული იქნა ბათუმის შავიზრვის საერთაშორისო არტ ფესტივალში,რომელის უკვე მეშვიდე წელია „იუნესკოს „; მხარდაჭერით იმრთება სართველოში. ფესტივალის დამფუძნებელია ცნობილი პიანისტი და საზოგადო მოღვაწე ქალბატონი ელისო ბოლქვაძე.გარდა ფესტივალში მონაწილეობისა ეკატერინეს 4 ოქტომბერს მასტერ კლასს ჩაუტარებს ცნობილი ფრანგი პიანისტი და კომპოზიტორი მიშელ სონი.

● გივი თხელიძის სახელობის N2 სამუსიკო სკოლა

ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გ. თხელიძის სახ. N2 სამუსიკო სკოლაში მუშაობს 18 პედაგოგი, სწავლობს 175 მოსწავლე, ფუნქციონირებს საფორტეპიანო და ვოკალური (კლასიკური და საესტრადო) განყოფილება.

  აქედან სხვადასხვა კატეგორიებით (სოციალურად დაუცველი, კონკურსში გამარჯვებულები, ობლები, სამი დედმამიშვილი, იძულებით გადაადგილებული) სწავლის ქირისგან განთავისუფლებულია 136 მოსწავლე. ხოლო ფასიან სწავლებაზე სწავლობს 39 მოსწავლე.

2023 წლის იანვრის თვიდან ა.ა.იპ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გ. თხელიძის სახ. N2 სამუსიკო სკოლამ ჩაატარა საქალაქო და შიგა სასკოლო ღონისძიებები , მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ და დაიმსახურეს სხვადასხვა დიპლომები და სიგელები

 მარტი ---- ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი
 მარტი -- კლასიკური ,მუსიკის მე-16 საერთაშორისო კონკურს ფესტივალი „ მომავლის ვარსკვლავები (ქ.ზესტაფონი)
მარტი---- კლასიკური მუსიკის მე-15 კონკურს ფესტივალი -„ იპოვე შენი ვარსკვლავი“ (ქ. თბილისი)
აპრილი ----ქართული მუსიკის ეროვნული კონკურსი (ქ. ზესტაფონი)
აპრილი----კონკურსი ფესტივალი - „ რონდო კლასიკი“ (ქ. ქუთაისი)
აპრილი ----კლ. მუსიკ. მე-16ე საერთაშორისო კონკურს ფესტივალი- „ მომავლის ვარსკვლავები გალა კონცერტი (ქ. თბილისი)
აპრილი --- 9 აპრილისადმი მიძღვნილი კონცერტი
მაისი-----კლასიკური მუსიკის მე-14 კონკურს ფესტივალი- „ იპოვე შენი ვარსკვლავი „ (გალა კონცერტი ქ. თბილისი)
მაისი --- სენაკის ხელოვნების ფესტივალი - 23 (ქ. სენაკი)
მაისი ---- სენაკი „ ხელოვნების ფესტვივალი 2023 „ გალა კონცერტი“ (ქ. სენაკი)
მაისი ---- 9 მაისისადმი მიძღვნილი კონცერტი
მაისი---„ ჩემი პირველი კონცერტი“ 1 კლასი
ივნისი ---საქალაქო კონცერტი
ივნისი----ქუთაისის საყმაწვილო დელფიადა (ქ.უთაისი)
ივლისი --- საერთაშორისო ფესტივალი „ ჩემი ლამაზი ქვეყანა- ბათუმი 2023“ გალა კონცერტი“ (ქ. ბათუმი)
ოქტომბერი - ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო „ჭიათურობისადმი „ მიძღვნილ ღონისძიებაში“
დეკემბერი - საშობაო კონცერტები .

სკოლის ვოკალური განყოფილების წარმატებული კურსდამთავრებული მარიამ ჭანკვეტაძე ვანო სარაჯიშვილის კონსერვატორიაში სრული დაფინანსებით ჩაირიცხა.

● ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის მიზანია მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისებაში ხელშეწყობა, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარება, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნა; მოსწავლეებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში ჩაირიცხა 297 მოსწავლე. სსიპ სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ შემოქმედებითი ცენტრის რეორგანიზაციის შედეგად, იქ არსებული სამხატვრო სკოლა დაიხურა და შესაბამისად აღნიშნულ სკოლაში არსებულმა მოსწავლეებმა, სწავლა განაგრძეს ააიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლაში.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, 2023 წლიდან სკოლაში შემუშავებულ იქნა ახალი წესდება. წესდების შესაბამისად, სახელწოდებად ნაცვლად ჭიათურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების სკოლისა, განისაზღვრა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა. მიღებულ იქნა ახალი შინაგანაწესი. განსაზღვრულ იქნა წრეებისა და შესაბამის მიმართულებაზე ჩასარიცხ მოსწავლეთა რაოდენობა. შემუშავებულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის გამართულ მუშაობას.

2023 წელს შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის ტექნიკური თუ სასწავლო ინვენტარი, რომელიც აუცილებელია სკოლის გამართული მუშაობისათვის.

მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა გამართული სამართლებრივი სისტემა და შესაბამისი ტექნიკის არსებობა ხელს შეუწყობს როგორც სკოლის განვითარებას, ასევე მოსწავლეთა სრულფასოვანი განათლების მიღებას და შესაბამის წარმატებებს.

2023 წლის იანვრიდან ახალი სასწავლო პერიოდის დაწყებასთან ერთად კვლავ მოხდა მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობის მიღება.

2023 წლიდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლა აქტიურად ჩაერთო ქალაქში გამართულ მასობრივ ღონისძიებებში. მონაწილეობდა 9 აპრილს. 26 მაისს, 1 ივნისს გამართულ საქალაქო ღონისძიებებში. ღონიესძიებაზე სხვადასხვა დროს შესრულებულ ნამუშევრებთან ერთად მოსწავლეებმა წარადგინეს თემატური ნაშრომები.

მიმდინარე წლის 18 ივნისს ხელოვნების სკოლის ბავშვებმა, მონაწილეობას მიიღეს საქართველოს ხელოვანთა კავშირის, „ხელოვანები მომავლისათვის“, მიერ გამოცხადებულ ხელოვნების ეროვნულ კონკურს-ფესტივალში, „მომავლის ვარსკვლავები“. აღნიშნულ ფესტივალზე სკოლის 24 ბავშვის 51 ნამუშევარი გაიგზავნა. ფესტივალზე ყველა ბავშვა მიიღო ლაურეატის, ხოლო რამდენიმემ პრიზიორის წოდება. მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობისთვის სიგელები დაიმსახურეს პედაგოგებმაც.

18 ივნისის ფესტივალის ფარგლებში იმყოფებოდნენ ხელოვნების ეროვნულ გალერეაში

მიმდინარე წლის 27 ივნისს მოეწყო თვითნასწავლი მხატვრის „ხელოვნების ქურუმის“ ზაურ ცერცვაძის ნამუშევრების გამოფენა, რამაც საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

2023 წლის სექტემბრიდან ახალი სასწავლო პერიოდის დაწყების შემდეგ მიღებულ იქნა 100-ზე მეტი ახალი მოსწავლე. აღსანიშნავია, რომ ხელოვნების სკოლაში სწავლის სურვილს გამოთქვამენ არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლებში მცხოვრები ბავშვებიც. შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებდან 30-მდე ბავშვი ჩაირიცხა სხვადასხვა წრეებზე. გათვალისწინებულ იქნა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც საჯარო სკოლებში მეორე ცვლაში სწავლობენ და

ხელოვნების სკოლაში მიმდინარე წლის სექტემბრიდან გაკვეთილები დილის ცვლაშიც ტარდება. ბავშვთა გაზრდილი რაოდენობა და ხელოვნების სკოლის არსებული შენობის სიმცირე გახდა საფუძველი იმისა, რომ მომზადებულიყო პროექტი შენობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის.

არსებული პროექტის მიხედვით ხელოვნების სკოლას ექნება საგამოფენო დარბაზი და ახალი სასწავლო ოთახები.

პროექტის განხორციელებით ქალაქში შეიქმნება საგამოფენო სივრცე რომელიც დღემდე არ ყოფილა და ხელოვნების სკოლას საშუალებას მისცემს განვითარდეს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები.

ხელოვნების სკოლამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მიმდინარე წლის 7 ოქტობერს გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „ჭიათურობა 2023“-ში. სკოლის აღსაზრდელები ყოველთვის ცდილობენ არსებულ ნაშრომებთან ერთად შექმნან ახალი ნამუშევრებიც. მათი ჩართულობა და ენთუზიაზმი საამაყო და მისასალმებელია.

2023 წლის 13 ოქტომბერს ხელო9ვნების სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის ინიციატივით, ქუთაისში სახელოვნებო განათლების რეფორმასთან დაკავშირებით გამართულ პანელური დისკუსიაში.

კომიტეტის ინიციატივა სახელოვნებო განათლების რეფორმის მომზადებას შეეხება. კომიტეტის თავმჯდომარემ, ელისო ბოლქვაძემ სახელოვნებო განათლებაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და ყურადღება სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის განსაზღვრის საკითხზე გაამახვილა.

ელისო ბოლქვაძის განცხადებით, სახელოვნებო განათლების რეფორმა კულტურის კომიტეტის ინიციატივით მზადდება და მისი იმპლემენტაცია, საქართველოს მასშტაბით, მომავალი წლიდან იგეგმება.

დეკემბრის თვეში სკოლა ემზადება საახალწლო გამოფენისთვის. სკოლაში გამოფენილი იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები საახალწლო თემატიკით.

აიპ ,,ჭიათურის მუნიციპალიტეტის #27 კომპლექსური სასპორტო სკოლა”

აიპ ,,ჭიათურის მუნიციპალიტეტის #27 კომპლექსურ სასპორტო სკოლის” 14 სპორტის სახეობის სექციებში ჩაბმულია 606 ბავშვი, რომელთა სპორტულ აღზრდას ემსახურება 38 კვალიფიცირებული მწვრთნელები. 2023 წელს სკოლის ნაკრებმა გუნდებმა სხვადასხვა სპორტის სახეობაში მონაწილეობა მიიღეს, აქედან საქართველოს ჩემპიონატზე და ევროპის ჩემპიონატზე დაიკავეს შემდეგი ადგილები:

- გივი ხვედელიძე (საქ. ჩემპიონატი ცურვაში II ადგილი)
- თენგიზ ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონი მძლეოსნობაში I, III ადგილი)
- ნათია ჩუბინიძე (საქ. ჩემპიონი მძლეოსნობაში II, II ადგილი)
- ბეჟანი ყობიაშვილი (საქ. ჩემპიონი კრივში III ადგილი)
- ლაშა გაგნიძე (საქ. ჩემპიონი კრივში I ადგილი)
- მარიამ შერგილაშვილი (საქ. ჩემპიონი ძიუდოში II ადგილი)

- დავით ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონი მძლეოსნობაში II ადგილი)
- გიორგი ცხადაძე (საქ. ჩემპიონი მძლეოსნობაში II ადგილი)
- ერეკლე ტაბატაძე (საქ. ჩემპიონი ჭადრაკში I ადგილი)
- მირანდა კაპანაძე (საქ. ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში I ადგილი)
- ნინო სამხარაძე (საქ. ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში III ადგილი)
- მირანდა ცხოვრებაძე (საქ. ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში III ადგილი)
- ნინი ციცვიძე (საქ. ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში I ადგილი)
- ანა ლაბაძე (საქ. ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში II ადგილი)
- ანი ჩაჩანიძე (საქ. ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში III ადგილი)
- საბა გაფრინდაშვილი (საქ. ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული ჭიდაობა II ადგილი)
- გიორგი ბოღიშვილი (საქ. ჩემპიონატი ბერძნულ-რომაული ჭიდაობა III ადგილი)
- გიორგი გაფრინდაშვილი (საქ. ჩემპიონი კრივში III ადგილი)
- გიორგი გაფრინდაშვილი ჭიათურის გუნდი (დავით ბუხრაშვილის სახელობის რეგიონალური ტურნირი კალათბურთში I ადგილი) – 300 ლ.
- გიორგი კურტანიძე (საქ. ჩემპიონი ტაეკვონდოში I ადგილი)
- გაბრიელი ღუღუნიშვილი (საქ. ჩემპიონი ტაეკვონდოში II ადგილი)
- რევაზი სარალიძე (საქ. ჩემპიონი ძალოსნობაში II ადგილი)
- გივი ხვედელიძე (საქ. ჩემპიონი ძალოსნობაში II, II, III ადგილი)
- ნიკა ჩინჩალაძე (საქ. ჩემპიონი ძალოსნობაში III ადგილი)
- რევაზი სარალიძე (საქ. ჩემპიონი ძალოსნობაში II ადგილი)
- მარიამ ცეცხლაძე (მსოფლიო ჩემპიონი წოლჭიმში I ადგილი)
- ქთევან აბდულაევა (საქ. ჩემპიონი მძლეოსნობასი II, ადგილი)

- მირანდა კაპანაძე (ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში II, ადგილი)
- გიორგი დარბაიძე უფროს კატეგორიაში (ქუჩის კალათბურთი I ადგილი)
- ნიკა კობიაშვილი უფროს კატეგორიაში (ქუჩის კალათბურთი II ადგილი)
- ნიკოლოზ ჯაოშვილი უმცროს კატეგორიაში (ქუჩის კალათბურთი I ადგილი)
- დავით მოდებაძე უმცროს კატეგორიაში (ქუჩის კალათბურთი II ადგილი)

ააიპ ,, ჭიათურის მუნიციპალიტეტის N27 კომპლექსური სასპორტო სკოლა ში 2023 წელს ჩატარდა ადგილობრივი ღონისძიებები შემდეგ სახეობებში:

✷ კალათბურთში, იური ხიხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

✷ კალათბურთში, დავით ბუხრაშვილის სახელობის რეგიონალური ტურნირი

✷ ტაეკვონდოში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა

✷ კალათბურთში, რეზო ჩხეიძის სახელობის თასის გათამაშება

✷ კრივში, ცნობილი ქართველი მოკრივეების თენგიზ ჯაოშვილის და სპარტაკ ასანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

✷ ქუჩის კალათბურთის ტურნირი

✷ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის თასი, რესპუბლიკური ტურნირი.

● აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატული თეატრი

მიმდინარე წელს აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში 6 სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.

ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი ქლაინმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა თურქი დრამატურგის „თუნჯერ ჯუჯენოღლუს“ პიესის მიხედვით სპექტაკლი „ზვავი“.

რეჟისორმა რევაზ შატაკიშვილმა ჭიათურის თეატრის სცენაზე პატრა მაყურებლებისთვის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით დადგა სპექტაკლი „ წითელქუდა და ბრემენელი მუსიკოსები“.

შეიქმნა საჩხერის პაოლი იაშვილი სახელობის თეატრისა და ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის ერთობლივი კო-პროდუქცია „დარისპანის გასაჭირი“ -რეჟისორი გოჩა კაპანაძე.

რეჟისორმა დავით ჩხარტიშვილა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განახორციელა სპექტაკლი „ფიროსმანი“. თეატრალური უნივერისტეტის სტუდენტმა ტატა მეცხოვრიშვილმა თეატრის სცენაზე დადგა საკურსო ნამუშევარი შარლ პეროს „ჩექმებიანი კატა“.

ამჟამად მიმდინარეობს მზადება პრემიერისთვის, რეჟისორი დავით ბახტაძე ქართველი დრამატურგის ალექსანდრე ქოქრაშვილის პიესის მიხედვით ახორციელებს სპექტაკლს „სტაფილო ანუ მესამე კატეგორიის მკვლელი“ რომლის პრემიერაც მიმდნარე წლის 26-27 დეკემბერს გაიმართება.

თეატრი აქტიურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებში.

ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის სახელობის IV საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ბოშები“ .

ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი 2023“ წარდგენილი იქნა სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“.

სიღნაღის თეატრალურ ფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“.

მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა გასტროლი სპექტაკლისა- „ფიროსმანი“, სპექტაკლის“დარისპანის გასაჭირი“ ჩვენება გაიმართა საჩხერის კულტურის ცენტრში, სპექტაკლის „ფიროსმანი“ პრემიერა გაიმართა ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრის სცენაზე.

მიმდინარე წელს თეატრმა უმასპინძლა სხვადასხვა ღონისძიებებს; „ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო“, პროექტი „ხელოვნების გზით“, „მშვიდობა თქვენდა“, ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი“.

მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით 2 ოქტომბერს თეატრის წინა გაიხსნა საქართველოს დამსახურებული არტისტების ლილი თავაძისა და იზოლდა ჯიშკარიანის სახელობითი ვარსკვლავი. ასევე ჭიათურის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა თეატრის მსახიობს იური ბიწაძეს.

მიმდინარე წელს გამოცხადდა ტენდერი რომლის ფარგლებშიც მოხდება თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია.

✦✦✦ ✦✦✦ ✦✦✦

2023 წელს მიღწეულ წარმატებებში, განხორციელებულ პროექტებსა და ღონისძიებებში დიდია მთავრობის, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის, საკრებულოსა და მერიის როლი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში რამდენიმე ერთობლივი პროექტი განხორციელდა „ჯორჯიან მანგანგანეზის“ აქტიური ჩართულობით.